თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1804189

ნომერი: AR1293364

თარიღი : 12.03.2015

გაცემის თარიღი : 26.03.2015

გაცნობის თარიღი : 27.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აკაკი ბელიაშვილი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

დამატებითი დოკუმენტაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 12 მარტს #AR1293364 განცხადებით მომართა შპს „ბილდინგ კომპანის“ დირექტორმა მაია რჩეულიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 11.12.2014 წლის №1637623 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 11.12.2014 წლის №1637623 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, აკაკი ბელიაშვილის შესახვევი №12–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.13.01.004.084), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრებელი ფართის ცვლილება იწვევს საერთო ფართის ცვლილებასაც, შესაბამისად წარმოსადგენია შეცვლილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები სრულყოფილად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დაავალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შეცვლილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები სრულყოფილად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე, 96–ე მულების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შეცვლილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები სრულყოფილად, საერთო ფართის მითითებით;
2. პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახურის 2015 წლის 12 მარტის #AR1293364 განცხადება დარჩეს განუხილველი;
3. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.